



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

არადელი-იშხნელი გიორგი ნიკოლოზის ძე

არადელი-იშხნელი გიორგი ნიკოლოზის ძე [7 (19). VI. 1882, სოფ. არადეთი, ახლანდ. ქარელის მუნიციპალიტეტი, – 1. II. 1920, გორი], მსახიობი.

დაამთავრა თბილ. II გიმნაზია (1903). 1903 – 08 სწავლობდა ოდესის უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტზე, პარალელურად დაამთავრა რეჟისორ ა. დოლინოვის დრამ. კურსები (1906). მონაწილეობდა ოდესის რუს. დრამ. დასის წარმოდგენებში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ 1908 პირველად გამოვიდა თბილ. ქართ. თეატრის სცენაზე დ. ერისთავის „სამშობლოში“ და ჩაირიცხა თბილ. დრამ. დასში. 1908 – 20 თბილ., ქუთ. და გორის თეატრების სცენებზე განახორციელა 80-მდე როლი. მ. შ. აღსანიშნავია: გიგო (ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი“), გელა (ა. წერეთლის „პატარა კახი“), ჰენრიხი (გ. ჰაუპტმანის „ჩაძირული ბარი“), არსენა (ა. ყაზბეგის „არსენა“), გლახა ჭრიაშვილი (ი. ჭავჭავაძის „გლახა ჭრიაშვილი“), ჟორჟ დიუვალი (ა. დიუმას „მარგარიტა გოტიე“), კარლ მოორი (ფ. შილერის „ყაჩაღები“), მოურავი (ა. ცაგარლის „რაც გინახავს, ველარ ნახავ“), ანანია (ა. სუმბათაშვილის „ლალატი“), დე სანტოსი (კ. გუცკოვის „ურიელ აკოსტა“) და სხვ. ა.-ი.გამოირჩეოდა ცხოვრებისეული სიმართლით, დამაჯერებლობით, მშვენიერი სცენური გარეგნობით, ტემპერამენტით, ხავერდოვანი ხმით, მდიდარი მიმიკითა და პლასტიკით.

ა. გვენცაძე
